**დამტკიცებულია**
სს ნიკორა –ს სამეთვალყურეო საბჭოს კრების მიერ
2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით

# სააქციო საზოგადოება ნიკორა

# აუდიტის კომიტეტის

# დებულება

ქ.თბილისი
2023 წელი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სააქციო საზოგადოება ნიკორა –ს (შემდგომში – კომპანია) სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (შემდგომში – კომიტეტი) არის ორგანო, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭოსგან დელეგირებული აქვს უფლებამოსილება, გაუწიოს მონიტორინგი კომპანიის ფინანსურ რეპორტინგსა და შიდა კონტროლის მექანიზმებს.

1.2. წინამდებარე დებულება კომიტეტის მუშაობის ძირითად პრინციპებს, მიზნებს, ფუნქციებს, უფლებებსა და ვალდებულებებს.

1.3. თავის საქმიანობაში კომიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სს ნიკორა –ს წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

## მუხლი 2. კომიტეტის წევრობა

2.1 კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

2.2 კომიტეტი შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომლის თავმჯდომარეს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

2.3 აუდიტის კომიტეტის წევრებს უნდა ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია საბუღალტრო საქმეში, ფინანსებში ან/და აუდიტის მიმართულებით და უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება. აუდიტის კომიტეტის წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ სხვა საკანონმდებლო სავალდებულო დანაწესებს/მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.4 კომიტეტის თავმჯდომარე (შემდგომში თავმჯდომარე ) უნდა იყოს დამოუკიდებელი და იმავდროულად არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და რომელიმე სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, კომიტეტის დანარჩენი დამსწრე წევრები ერთ-ერთ წევრს ირჩევენ სხდომის თავმჯდომარედ.

2.5 იმ შემთხვევაში, როდესაც კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხები შეიცავს ისეთ საკითხს, რომლის მიმართაც კომიტეტის წევრს გააჩნია დადასტურებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, ასეთი წევრი არ იღებს მონაწილეობას მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში ან/და გადაწყვეტაში და შესაბამისად, აღნიშნული წევრის ხმა არ იანგარიშება კომიტეტის სხდომაზე კვორუმის დათვლისას.

## მუხლი 3. კომიტეტის სხდომა და ხმის მიცემა

3.1 სხდომა უნდა გაიმართოს წელიწადში ოთხჯერ, წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებულ პირების შეხვედრაზე დასწრება გარკვეულ შემთხვევებში კომიტეტის სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

3.2 სათანადო წესების დაცვით მოწვეული კომიტეტის სხდომა, რომელზეც შემდგარია კვორუმი, უფლებამოსილია განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები. კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. წევრებს შორის ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის/ ხმა.

3.3 კომიტეტის სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის მიერ, კომიტეტის , ან კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის რომელიმე წევრის მოთხოვნის საფუძველზე.

3.4 თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, კომიტეტის სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს თითოეულ წევრს ასეთი სხდომის გამართვის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.

3.5 შეტყობინებები, სხდომის დღის წესრიგი და ნებისმიერი სხვა დამატებითი დოკუმენტი შესაძლებელია გაიგზავნოს ელექტრონული ფორმით.

3.6 კომიტეტის სხდომის ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე. ინტერესთა კონფლიქტის ან ნებისმიერი სხვა გონივრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სხდომის ოქმის ხელმოწერის დელეგირება შესაძლებელია განხორციელდეს კომიტეტის რომელიმე სხვა წევრზე.

## მუხლი 4. კომიტეტის ფუნქციები და ვალდებულებები

4.1 აუდიტის კომიტეტი

4.1.1 კომიტეტი ვალდებულია:

a. განიხილოს და დაამტკიცოს შიდა აუდიტის როლი და უფლებამოსილება, განახორციელოს შიდა აუდიტის მიერ გაწეული სამუშაოს ზედამხედველობა და მონიტორინგი.
b. განიხილოს და დაამტკიცოს ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა
c. მიიღოს ზომები იმ მიზნით, რომ შიდა აუდიტს გააჩნდეს შეუზღუდავი და ყველა აუცილებელი წვდომა შესაბამის ინფორმაციასა და პირებზე იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.
d. განიხილოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის წლიური გეგმა.
e. ზედამხედველობა გაუწიოს და შეაფასოს კომპანიის შიდა აუდიტის როლი და მუშაობის ეფექტურობა. მონიტორინგი გაუწიოს მათ საქმიანობას, შეაფასოს მისი საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა.
f. განიხილოს კომპანიის შიდა აუდიტის მიერ კომიტეტისთვის წარდგენილი ანგარიშები.
g. მონაწილეობა მიიღოს კომპანიის გარე აუდიტორის შერჩევაში. აქტიურად ითანამშრომლოს და მონიტორინგი გაუწიოს გარე აუდიტორებთან ურთიერთობაში.
h. შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით
i. მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს
j. უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა
k. განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას

l. განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე

m. მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად

n. მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას

o. განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით

4.1.2 კომიტეტი, აუდიტის გუნდის წევრების რანგირების, ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, განიხილავს და ამტკიცებს აუდიტის წლიურ გეგმას.

4.2 ფინანსური რეპორტინგი

4.2.1 კომიტეტი ზედამხედველობას უწევს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ერთიანობას, მათ შორის წლიურ და ნახევარწლიურ ანგარიშებს, წინასწარი შედეგების გამოცხადებას და ნებისმიერ სხვა ოფიციალურ ანგარიშგებას, რომელიც უკავშირდება კომპანიის ფინანსურ შედეგებს, აუდიტორთან განხორციელებული კამუნიკაციის გათვალისწინებით, განიხილავს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხების, ფინანსური ანგარიშგების, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შესაბამისი დასკვნების შესახებ.

4.2.2 კომიტეტი განიხილავს და საჭიროების შემთხვევაში აფასებს:

a. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკის გამოყენებას და მასში განხორციელებულ ცვლილებებს.

b. მნიშვნელოვანი ან არასტანდარტული ტრანზაქციების საბუღალტრო აღრიცხვისას გამოყენებულ მეთოდებს, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიდგომა.

c. მიღებული აქვს თუ არა კომპანიას შესაბამისი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა, გათვლები და დასკვნები.

d. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული გამჟღავნების სისწორეს და სისრულეს და ანგარიშგების შედგენის კონტექსტს.

e. აუდიტის შედეგად განხორციელებულ ნებისმიერ მნიშვნელოვან შესწორებას.

4.2.3 სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში კომიტეტი განიხილავს წლიური ანგარიშსა და ანგარიშგებას და აძლევს რეკომენდაციას სამეთვალყურეო საბჭოს მათი სისწორის, დაბალანსებულობის, სიცხადის შესახებ, ასევე წარადგენს ინფორმაციას, რაც აუცილებელია აქციონერების მიერ კომპანიის მდგომარეობის, მუშაობის, ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

4.2.4 კომიტეტი განიხილავს და რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს/აქციონერთა კრებას, გარე აუდიტორის დანიშვნასთან, მისი მომსახურების ვადის გაგრძელებასთან და შეცვლასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებაზე დააყენოს გარე აუდიტორის მიერ აუდიტორული მომსახურების პირობები და შესაბამისი ანაზღაურების საკითხი, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიისა და გარე აუდიტორის კოორდინაციას.

4.3 შიდა კონტროლი

4.3.1 კომიტეტი ვალდებულია:

a. თვალი ადევნოს კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმებსა და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ რისკის მართვის სისტემებს.

b. განიხილოს შიდა ინსპექტირების შედეგად კონტროლის სისუსტესთან, თაღლითობასთან ან სამსახურებრივ გადაცდომასთან დაკავშირებით შედგენილი მნიშვნელოვანი დასკვნები.

c. განიხილოს და ზედამხედველობა გაუწიოს მენეჯმენტის რეაგირებას კონტროლის სისუსტეზე, შიდა აუდიტის ან გარე აუდიტორის მიერ გამოვლენილ სხვა სისუსტეებზე და ასევე, კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან და შიდა პროცედურებთან შეუსაბამობაზე.

d. განახორციელოს კომპანიისთვის რელევანტური ძირითადი რისკების შეფასება.

e. ზედამხედველობა გაუწიოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ უსაფრთხოებას, შესაბამისობას, კორპორაციულ უსაფრთხოებას და საოპერაციო რისკების მსგავს მიმართულებებს.

f. განიხილოს თაღლითობის გამოვლენისა და პრევენციის კომპანიაში არსებული მექანიზმები.

g. განიხილოს და აუცილებლობის შემთხვევაში დაამტკიცოს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკის მართვის პროცედურები.

h. სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა შეაფასოს საწარმოს შიდა კონტროლის და რისკების მართვის სი!სტემების ეფექტურობა და ამის თაობაზე მოახსენოს აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრებას

4.4 ინტერესთა კონფლიქტი

4.4.1 კომიტეტი განიხილავს კომპანიასა და მის ადმინისტრატორს შორის არსებულ ნებისმიერ ინტერესთა კონფლიქტს ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს.

4.4.2 კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის ავტორიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კომიტეტი ასევე განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მიზანშეწონილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის ავტორიზაცია.

4.5 აუდიტის კომიტეტი ვალდებულია კორპორაციული მართვის ანგარიშში წარადგინოს/გაამჟავნოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

4.5.1 გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ

4.5.2 საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტების ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას

**მუხლი 5. სხვა საკითხები**

5.1 კომიტეტი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და აძლევს მას რეკომენდაციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნებისმიერ სფეროში, სადაც კომიტეტი ჩათვლის რომ არსებობს რაიმე ქმედების ან გაუმჯობესების საჭიროება.

5.2 კომიტეტს უნდა გააჩნდეს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ განახორციელოს დაკისრებული ვალდებულებები და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს ქმედებების ინსპექტირების პროცესს.

5.3 კომიტეტი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის პერიოდული შეფასების ორგანიზებას.

5.4 კომიტეტი უფლებამოსილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მას მინიჭებული აქვს მანდატი:

a. საკუთარი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად მოიძიოს და გამოითხოვოს კომპანიის ნებისმიერი თანამშრომლისგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

b. კომპანიის ხარჯზე მიიღოს კონსულტაცია ნებისმიერ პირისგან როგორც ამას კომიტეტი ჩათვლის საჭიროდ, მათ შორის სამართლებრივი ან სხვა სახის პროფესიული კონსულტაცია გარე წყაროსგან ნებისმიერ საკითხზე.

c. მოიწვიოს და გამოკითხოს კომიტეტის სხდომაზე კომპანიის ნებისმიერი თანამშრომელი, როდესაც კომიტეტი ამას ჩათვლის საჭიროდ.

**მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

6.1 საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება კომპანიის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 წინამდებარე დებულებაში ყოველი ცვლილება ან დამატება მოითხოვს წერილობით ფორმას.

6.3 დებულებაში ცვლილების შეტანა ან დამატება შესაძლებელია, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.4 წინამდებარე დებულება ძალაში შედის მისი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების თარიღიდან.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ დებულების რომელიმე მუხლი/პუნქტი ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ რომელიმე იმპერატიულ ნორმას, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვ.სუხიაშვილი